მართლაც საამაყო მონაგარი!

ცვლა მოდის: გვასახელეს საქართველოს ახალგაზრდა მოჭიდავეები და მოკრივეები

ეროვნული ბიბლიოთეკა







ველოდით, გაამართლეს!

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ყაბუკ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობაზე, რომელიც უნგრეთში გაიმართა, საქართველოს შვიდი ათლეტი გაემგზავრა.

ჩვენმა ფალავნებმა არ გააწბილეს გულშემატკივართა იმედები: ორი სპორტსმენი — **ლუკა კოხია** (83 კგ) და **დავით პოღოსიანი** (55 კგ), გამარჯვებულნი დაბრუნდნენ—ოქროს მედლები მოიპოვეს. **ალექსანდრე კახნიაშვილი** (76 კგ) და **ზურაბ ლოლაშვილი** (96 კგ) ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ.

ჩვენი გუნდის სხვა წარმომადგენელთაგან, **მალხაზ მხეიძე** (51 კგ) მეოთხე ადგილზე გავიდა, ხოლო დავით ხაბელაშვილი (65 კგ) — მეხუთეზე.

* * *

სურათებზე: მარცხნიდან—ლუკა კოხია, დავით პოღოსიანი, ალექსანდრე კახნიაშვილი, ზურაბ ლოლაშვილი.

* * *

წერილს ამ ტურნირის შესახებ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ლელო

№ 138 (10307)
24 ივლისი,
სამშაბათი,
1990 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო
ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.





ტრიუმფი—ევროპის რინგზე

ასეთი წარმატება საქართველოს კრივს ჯერ არ ჰქონია. კვირას ჩეხეთ-სლოვაკეთის ქალაქ უსტინა ნად ლაბოს რინგზე დამთავრებული ახალგაზრდა სპორტსმენთა ევროპის ჩემპიონატი ჯერ მარტო იმ მხრივ იქნება დასამახსოვრებელი, რომ იქ ჩვენი რესპუბლიკის ხუთი წარმომადგენელი პირველად იბრძოდა კონტინენტზე უძლიერესის სახელისთვის. მათგან მესტიელმა **რამაზ ფალიანმა** (48 კგ), თბილისელებმა **კახა ბარავიმ** და **აკაკი კაკაურიძემ** (71), აგრეთვე ფოთელმა **პაატა გვახალიამ** (57), ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვეს.

დასანანია, რომ ამ „ოქროს ოთხეულს“ გამოაკლდა ქუთაისელი მოკრივე მათე კოღუაშვილი, მაგრამ ახალგაზრდა სპორტსმენს ჯერ ხომ ყველაფერი წინა აქვს.

პირველობის დასკვნითი ბრძოლები საბჭოთა მოკრივეების დიდი უპირატესობით წარიმართა. ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, ჩიმკენტელი ნურჟან სმანოვი (63,5), პერმელი ალექსეი ილინი (81) და ლენინგრადელი იგორ ანდრეევი. ვერცხლის მედლებს დაეპატრონენ მოსკოვის ოლქელი ვიტალი შოხინი (60), ჩიმკენტელი ასლუდინ უმაროვი (75) და ზემძიმე წონის ჩირჩიკელი მოკრივე ილია ჟურავლიოვი.

სურათებზე: მარცხნიდან — ევროპის 1990 წლის ჩემპიონები: რ. ფალიანი, კ. ბარავი, პ. გვახალია და ა. კაკაურიძე.

ნონა გაფრინდაშვილი მრთპიროვნული ლიდერია

კუალა-ლუმპური. ორი ტურიც და დამთავრდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საზონთაშორისო ტურნირი, რომლის სამი პრიზიორი პრეტენდენტთა ასპარეზობის საგზურს მიიღებს.

პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მეთხუთმეტე ტურის პარტიებს, რომლებშიც ლიდერები ერთმანეთს ხვდებოდნენ. ნონა გაფრინდაშვილმა ბრწყინვალე სტილში დაამარცხა ანა ახშარუმოვა და ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

ნინო გურიელისა და ჩინელი სი ცზიუნის შეხვედრაში ყაიმი დაფიქსირდა, რაც, ალბათ, ორთავე მოჭადრაკეს აძლევდა ხელს.

გათამაშების ცხრილში 15 ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: ნონა გაფრინდაშვილი — 12 ქულა, სი ცზიუნი — 11,5 ქულა, ნინო გურიელი — 10,5 ქულა. ასეთივე შედეგი აქვს ანა ახშარუმოვას, რომელმაც გაფრინდაშვილთან დამარცხებამდე მოიგო ერთი გადადებული პარტია. გაფრინდაშვილსა და სი ცზიუნს, როგორც ჩანს, პრეტენდენტთა ტურნირის საგზური განაღდებული აქვთ. აი, მესამე ადგილისთვის კი, ალბათ, მძაფრი ბრძოლა იქნება მოსალოდნელი, პირველ რიგში გურიელსა და ახშარუმოვას შორის.

ტურნირში კიდევ რამდენიმე საბჭოთა მოჭადრაკე გამოდის, აი მათი შედეგებიც: მარტა ლიტინსკაია — 9 ქულა, ელენა ზაიაცი — 8,5 ქულა, ნანა ალექსანდრია — 8 ქულა.

სახ. სამ. ... ბიბლიოთეკა

SEATTLE '90 GOODWILL GAMES

კეთილი ნების თამაშები

უკბილო ხუმრობის ფასი

სიეტლი. ამერიკელ მოცურავეთა უპირატესობა კეთილი ნების თამაშებში იმდენად აშკარაა, რომ ვერც ერთი მეტოქე, რამდენადმე სერიოზულ კონკურენციას მათ ვერ უწევს. თამაშების მასპინძლებმა ჯერჯერობით ყველა დაგეგმილი ოქროს მედალი მიიღეს.

თუმცა ერთ გაცურვაში ისინი რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ეს მოხდა თავისუფალი სტილით ესტაფეტაში 4X100 მეტრზე. პირველი ეტაპი კოშინოველმა იური ბაშკატოვმა მცირე უპირატესობით მოუგო ტომ ჯეგერს. მეორე ეტაპზე ალიბეშვილმა გენადი პრიგოდამ ინიციატივა შეინარჩუნა. მესამე ეტაპი ამერიკელმა უკეთ გაცურა, მაგრამ საბჭოთა გუნდი მაინც ინარჩუნებდა გამარჯვების შანსს.

ბოლო 100-მეტრიან მონაკვეთზე ბიონდიმ ამ იმედებს ცივი წყალი გადაასხა. მან ბრწყინვალედ გაიარა ეტაპი და გუნდმაც შესანიშნავი დრო — 3.17,50 აჩვენა. ეს შედეგი მხოლოდ ერთი წამით ჩამორჩება მსოფლიო რეკორდს. საბჭოთა კვარტეტმა დისტანცია 3.19,06-ში გაიარა. მესამე ადგილზე გავიდა გდრ-ის გუნდი.

კეთილი ნების თამაშებზე ჯერჯერობით ყველაფერი თავისი რიგითა და წესით მიდის, მაგრამ ერთი „საგანგებო შემთხვევა“ მაინც მოხდა. სანიჩოსნო ცენტრში უსაფრთხოების სამსახურის მუშაკმა დაიკავა მაყურებელი, რომელიც აკრძალულ

იხ. მე-3 გვ.



სიეტლი. კეთილი ნების თამაშების საზეიმო გახსნის ცერემონიალი „ხასკის“ სტადიონზე.

საკდეს-საქინფორმის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ᲧᲣᲗᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ“ ᲒᲐᲜᲡᲯᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲬᲧᲐᲚᲜᲘ ᲬᲐᲕᲚᲔᲜ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜ...

ᲤᲐᲥᲢᲝᲒᲠᲘᲕᲘᲐᲓ დასრულდა რაგბიში საქართველოს XXIII ჩემპიონატის პირველი ეტაპი, ფაქტობრივად იმიტომ, რომ კიდევ ცხრა თამაშია გასამართი, თუმცა ეს გუნდების სატურნირო მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ვეღარ მოახდენს.

ამ დღეებში საქართველოს რაგბის კავშირი შეადგენს მეორე წრის კალენდარს, მანამდე კი უკვე გასრულებულს გადავავლოთ თვალი.

გვახსოვს, როდესაც ეროვნული ჩემპიონატის გამართვა-არგამართვის საკითხი განიხილებოდა, გამოითქვა აზრი, რომ სიძნელეები მრავლად იქნებოდა და მათ დასაძლევად დიდი გარჯა იქნებოდა საჭირო. რა გასაკვირია, რომ ვარაუდი გამართლდა და ტრადიციული პრობლემები კვლავ გვახსენებენ თავს.

პირველ ყოვლისა, სარბიელზე; უფრო სწორად, უსარბიელობაზე ვთქვათ. ქუთაისში, ჭიათურასა და წყალტუბოში ეს საქმე მოგვარებულია, თბილისში კი, თამაშები მხოლოდ 3 მოედანზე იმართება — ვაკის, ვარკეთილისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონებზე. ამ უკანასკნელის მიმართ შენიშვნები თითქმის არ გამოთქმულა. იგივე შეიძლება ითქვას ვაკის სტადიონზეც: მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის თამაშები აქ შედარებით იშვიათად, მაგრამ ნორმალურ პირობებში ტარდება.

ვარკეთილის სტადიონის მიმართ, თუ გახსოვთ, გამოითქვა გარკვეული პრეტენზიები, მაგრამ ბაზის დირექციამ, საქართველოს რაგბის კავშირმა და სარაგბო გუნდებმა, საბედნიეროდ, გამონახეს საერთო ენა და ბოლო მატჩებიც აღნიშნულ მოედანზე უმტკივნეულოდ ჩატარდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მსაჯთა პრობლემა. ყველასათვის ცნობილია, როგორ განვიცდით მსაჯთა ნაკლებობას (მათ კვალიფიკაციაზე ამჯერად არაფერს ვამბობთ). ხშირად ისეც ხდებოდა, რომ მატჩს ერთ-ერთი მოასპარეზე გუნდის წარმომადგენელი სჯიდა, რაც ზოგჯერ ცხადია, უკმაყოფილებასაც იწვევდა. სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო, ჩემპიონატის თამაშების მსაჯობაზე უარი განაცხადა რამდენიმე არბიტრმა, რაც საგრძნობი დანაკლისია ისედაც მცირერიცხოვან მსაჯთა კორპუსისთვის.

ჩემპიონატის პრობლემათაგან უმთავრესი კი გახლავთ გათამაშების სატურნირო განრიგის დაცვის საკითხი. მოგეხსენებათ, ჩვენი გუნდების ერთი ნაწილი საკავშირო პირველობაზეც ასპარეზობს, ორი ჩემპიონატის მატჩები კი ხანდახან ერთმანეთს უმთხვევა და რაგბის კავშირი, გუნდების თხოვნის საფუძველზე, იძულებულია შეცვალოს კალენდარი. ცხრა გადატანილი თამაშიდან, რვა სწორედ ასეთი გუნდების ანგარიშზეა. ცხადია, საკავშირო პირველობაში მონაწილეობა ამ კოლექტივების უფლებაა, ეს მათი პირადი საქმეა, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს გარემოება კალენდრის შედგენამდე უნდა იქნას გათვალისწინებული, რათა არც ამ გუნდებს და არც საქართველოს ჩემპიონატს დაბრკოლებები არ შეექმნას.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ამ ჩემპიონატში მარტო ხარვეზებმა იჩინა თავი. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ მრავალი ვაჟკაცური, ლამაზი და პატიოსანი ორთაბრძოლა ვიხილეთ. შედარებით იშვიათია წესრიგის დარღვევაც და, რაც მთავარია, ნელ-ნელა მაღლდება რაგბის დონე. უდავოა და ამას ნებისმიერი რაგბის მოყვარულიც დაადასტურებს, რომ თითოეულმა გუნდმა შესამჩნევად აიმაღლა ოსტატობა გასულ სეზონთან შედარებით. ჩემპიონატის მთავარი მიზანიც ხომ სწორედ ეს გახლავთ.

ამჟამად გუნდები ისვენებენ და მზლე სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებზე გაემგზავრებიან. ვნახოთ, ვინ როგორ ეგებება მეორე ეტაპს.

თავდაპირველად ფინალურ ოთხეულს გადავხედოთ: ქუთაისის „აიას“, თბილისის „ელმავალისა“ და „მიმინოს“ დაწინაურება გასაკვირი არ არის. ამ გამოცდილ, ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებულ კოლექტივებს პირველ ეტაპზე დაბრკოლება თითქმის არც ჰქონიათ.

„აიამ“, ოთხი გამოტოვებული თამაშის მიუხედავად, ვადამდე მიაღწია საწადელს. სასიამოვნოა, რომ გუნდის ძირითადი მოთამაშეები თავს არ არიდებენ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობას და სრული დატვირთვითაც თამაშობენ. მათ კარგად უბამენ მხარს ახალგაზრდა მორაგბეები, რომლებმაც ხვალზეგ ამ სახელოვანი გუნდის ტრადიციები უნდა განაგრძონ. ერთ საკავშირო გაზეთში დაიბეჭდა წერილი, სადაც ავტორი „ამტკიცებდა“ — „აიას“ მოთამაშეთა ერთი ნაწილი „დაბერდა“ და აღარ ძალუძს ძველებურად თამაშიო. ჩვენი მხრიდან შევნიშნავთ, რომ ამ მორაგბეებს მსგავსი არაფერი ეტყობათ, ისინი კვლავ ჩვეული ოსტატობით თამაშობენ. ქუთაისელთა „ნიშანში ამოღების“ მიზეზი კი იოლი ასახსნელია: ზოგ-ზოგებს, მათი ვინაობა კარგად რომაა ცნობილი, სულს უფორიაქებს და წონასწორობას აკარგვინებს ქართველთა კარგი თამაშის ხილვა. არადა, „აია“ წარმატებით ინაზღაურებს სტარტზე სავსებით ობიექტური მიზეზების გამო დაკარგულ ქულებს და კვლავ რჩება ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად.

ამ „ზოგიერთების“ არაკეთილმოსურნეობამ საკავშირო პირველობაზე თბილისის „ელმავალიც“ დააზარალა. კვლავ „გამოიჩინა თავი“ მოსკოველმა არბიტრმა არხიპოვმა, რომელიც არც შარშან წყალობდა თბილისელებს. წელსაც, კიევის „ავიატორთან“ შეხვედრისას, მან თავისი მიკერძოებული მსაჯობით, ფაქტიურად, ჩაშალა თამაში, რომელსაც „ელმავალი“ იგებდა. რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, აქ რკინიგზელებმა იოლად მოიპოვეს ადგილი „მზის ქვეშ“. ისინი ყოველი თამაშისთვის სერიოზულად ემზადებოდნენ და ქუთაისელების მსგავსად საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებას უმიზნებენ.

სამოქალაქო ავიაციის გუნდი „მიმინო“ შარშან შეიქმნა, მაგრამ მოკლე ხანში მოიპოვა ავტორიტეტი. პირველი ეტაპი მან თანაბრად, ეფექტურად „განვლო“ და ღირსეულადაც მოიპოვა ფინალში ასპარეზობის უფლება. გუნდის მთავარი პრობლემა სათადარიგოთა „მოკლე სკამია“ — თამაშების მთელი სიმძიმე 18-20 მოთამაშეს აწვება. ამან, ცოტა არ იყოს, გადაღალა გუნდი, რომლის წარმატების ძირითადი განმსაზღვრელი გახლდათ ნახევარმცველების საუცხოო წყვილის — ჯანელიძისა და ძნელაძის გააზრებული, ტაქტიკურად დახვეწილი მოქმედება. სწორედ მათი, მიმდინარე ჩემპიონატში უდავოდ საუკეთესო ნახევარდაცვის რგოლის, წყალობით მოიპოვა გუნდმა გამარჯვებათა უმრავლესობა.

უძლიერესთა შორის „ასოციაციის“ გამოჩენა ერთობ მოულოდნელი, ბევრისთვის კი დაუჯერებელი ფაქტიც გახლდათ. მართალია, ამ გუნდის ყველა მოთამაშე ნაზიარებია „დიდი რაგბის საიდუმლოებებს“, მაგრამ ისინი კარგა ხნის უვარჯიშებელნი, შედარებით ასაკოვანნი და შეუთამაშებელნი იყვნენ. გუნდმა ნაყოფიერად გამოიყენა ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდი, ჩემპიონატის მსვლელობაშიც მრავალი კორექტივი შეიტანა თავის თამაშში და მრისხანე მეტოქედ მოევლინა მოწინააღმდეგეებს. ასოციაციელებმა უკუაგდეს მათთან დაკავშირებული ყველა ეჭვი და დაგვარწმუნეს, რომ... ბევრი ხარისა რქანიც ხნავენ.

მეხუთე-მეთორმეტე ადგილებზე „დისლოცირებული“ გუნდებიდან ყველაზე სახარბიელო მდგომარეობაში ქუთაისის „გელათია“. საკმაოდ მოულოდნელია ამ კოლექტივის ხილვა „მეორე ეშელონში“. არ ვიცით, როგორ ახსნიან სპეციალისტები ამ გუნდის წარუმატებლობას, მაგრამ ერთი აშკარაა: საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი სათანადოდ ვერ მოემზადა. ეს, ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ გუნდი პირველად ასპარეზობს საკავშირო ჩემპიონატის I ლიგაში და ვერ შეძლო ძალების სწორად და თანაბრად განაწილება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქუთაისელები მიაგნებენ წარუმატებლობის სათავეს და თავიანთი გამოცდილი მწვრთნელის რამაზ სვანიძის მეთაურობით დროულად აღმოფხვრიან მას.

„გუნდი-გამოცანა“ — ასე შეიძლება ვუწოდოთ ჭიათურის „იმერეთს“. ჭიათურელები ყოველ თამაშში სიახლეებს სთავაზობდნენ მეტოქეს. სეზონის სტარტზე გამარჯვებებს დამარცხებები ენაცვლებოდა, ბოლოს კი „იმერეთმა“ მიაგნო „თავის თამაშს“ და სატურნირო მდგომარეობა საკმაოდ გაიუმჯობესა.

თბილისის სტუდენტური გუნდების: „აკადემიის“, „სტუს“, „ზოოვეტის“, „უნივერსიტეტისა“ და „შევარდენის“ „ჩავარდნის“ მიზეზები სხვადასხვაა, მაგრამ ერთი საერთო კი აქვთ: „შევარდენის“ გარდა არც ერთ გუნდს არ გააჩნია ელემენტარული სავარჯიშო პირობები: სტუდენტი მორაგბეები ხან ვის მიეკედლებიან, ხან ვის, ზოგჯერ კი სულაც „პარტიზანულად“ ვარჯიშობენ. ისიც საკვირველია, ასეთ პირობებში როგორ ახერხებენ ნორმალურად თამაშს. უდავოა: საჭიროა მეტი ყურადღება მივაქციოთ მათ, ვინაიდან სტუდენტური რაგბი ყველა ქვეყანაში „დიდი რაგბის“ ბალავირია.

„შევარდენი“ და „უნივერსიტეტი“, მათივე მწვრთნელების თქმით, ამჟამად ჩამოყალიბების პროცესში არიან, დაკავებულ ადგილს მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

„აკადემია“ უშუალოდ ჩემპიონატის თამაშებში გაძლიერდა. გუნდში მოვიდა რამდენიმე ძლიერი მოთამაშე, რომლებმაც განაპირობეს კიდეც მხტვართა წარმატება. სამწუხაროდ, საინტერესო თამაშებს ზოგჯერ უნიათოდ ჩატარებული მატჩებიც ცვლიდა, რომლებშიც გუნდს ამ მოთამაშეთა ოსტატობაც ვერ შველოდა.

აი, „ზოოვეტი“ და, განსაკუთრებით, „სტუ“ გარკვეულ პრეტენზიებს აცხადებდნენ ჩემპიონატის სტარტზე. „სტუმ“ მართლაც კარგად დაიწყო — შემადგენლობა სტაბილური იყო, მოთამაშეებიც შეთანხმებულად მოქმედებდნენ, შემდეგ კი, როგორც ჩანს, გუნდი გადაიღალა, ამას ხაემატა მორაგბეთა დიდი ჯგუფის ტრავმები და ბოლო ტურებში გუნდს ვერ იცნობდით: ეტყობა, მზადების პროცესში დაშვებულია შეცდომები, რომლებმაც დაღი დაამჩნია ტექნიკოსთა გამოსვლას. „ზოოვეტმა“ კი თითქოს ერთბაშად დაკარგა ჩვეული ბრძოლისუნარიანობა. გუნდის თამაშს უძღვებიან ვეტერანები ბახტაძე და გიგინეიშვილი, ზოოვეტელებს ჰყავთ რამდენიმე პერსპექტიული მოთამაშეც, მაგრამ ისინი სრული ძალით ჯერ ვერ ამოქმედდნენ.

რაც შეეხება წყალტუბოს „სათაფლიას“, მრავალჯერ გვითქვამს, რომ „ეს ახალგაზრდული კოლექტივია,“ აქ ძირითადად 16-17 წლის ჭაბუკები თამაშობენ. სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი ჯერ ნაადრევია, მაგრამ, თუნდაც ის ფაქტი, რომ წყალტუბოელები მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უწევენ გამოცდილ მეტოქეებს, ერთ რამედ ღირს. „სათაფლიას“ მოთამაშეებს და მათ მწვრთნელს ბორის ზიბზიბაძეს ბევრი საქმე აქვთ საკეთებელი.

დასასრულ, გვინდა მკითხველს შევახსენოთ, რომ ეს ჩემპიონატი რიგით კია ოცდამესამე, მაგრამ თავისი შინაარსით პირველია. ამიტომ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ზოგჯერ ხარვეზებიც იჩენს თავს. ნებისმიერი სიახლე ძნელად იკვლევს გზას, მრავალ დაბრკოლებასაც აწყდება, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, დრო მოვა, ეს „მღვრიე პერიოდიც“ დაიწმინდება.

...ქვიშანი დარჩებიანო.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲐ

... ზაფხულია. ბოლნისი ძლივს სუნთქავს ,,გვაარვარებული მზის ქვეშ. ქუჩაში ხალხი საღამოობით გამოეფინება ხოლმე. სალაპარაკო თემას რა გამოლევს. აგერ, მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის აჟიოტაჟი არ ჩამცხრალა ჯერ...

სიწყნარეა ბოლნისის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის შენობაშიც. სკოლის აღსაზრდელები ოზურგეთის რაიონისა და ფოლადაურის მოსწავლეთა დასასვენებელ სახლებში გაემგზავრნენ. მე კი სპორტსკოლის დირექტორს — მურთაზ კორძაძეს გავესაუბრე....

რამდენიმე თვეა, რაც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რეგიონალური დამხმარე ჯგუფი შეიქმნა, რომლის შემადგენლობაშიც რუსთავის, გარდაბნის, თეთრი წყაროს, ბოლნისისა და მარნეულის რაიონები შედის. ამ ჯგუფის აქტიური წევრია ბოლნისის სპორტსკოლის დირექტორი მურთაზ კორძაძე. იგი ბოლნისის რაიონის სპორტულ ცხოვრებაზე მესაუბრება.

1989 წელს, როცა ახალი სპორტული სკოლის შენობა აიგო, მას მრავალმა ახალგაზრდამ მოაშურა. მოსწავლეთა სპორტით დაინტერესების მაჩვენებელია ისიც, რომ რეგულარულად ტარდება ბოლნისის რაიონული სპარტაკიადა, მინი-ოლიმპიადა სპორტის რვა სახეობაში; ეწყობა მასობრივი გარბენი ე. წ. „ბოლნისის რკალი“. საშეიმოდგომო არდადეგების პერიოდში კი მოზრდილთა შორის ყოველწლიურად იმართება (რაიონების ნაკრები გუნდების მონაწილეობით) თემურ სტეფანიას სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში. მაისში სპორტული სკოლის შენობაში ჩატარდა მოსწავლეთა პირველობა ფრენბურთში, სადაც ვოგონებს შორის ბოლნისის გუნდმა გაიმარჯვა. აქვე 26 მაისთან დაკავშირებით, მოეწყო მინი-ოლიმპიადა სპორტის ეროვნულ სახეობებში მეზობელ ექვს რაიონს შორის. საქართველოს ნაკრები გუნდების კანდიდატები არიან აქაური სპორტსკოლის აღზრდილები: ჭაბუკი სვანიძე, მიხეილ კორძაძე (თავისუფალი ჭიდაობა), ლერი ბელთაძე (ფრენბურთი), თემურ გაფრინდაშვილი (ფეხბურთი)...

დღეს ბოლნისის მიწაზე მნიშვნელოვანი დემოგრაფიული პროცესებია: მიმდინარეობს აზერბაიჯანული მოსახლეობისაგან ქართული მიწა-წყლის შესყიდვა და მისი გადაცემა რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და აჭარის იმ მცხოვრებთათვის, რომლებიც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალდნენ. ქართულ მიწას ქართველი კაცი დაეპატრონა. მალე ბოლნისი, ვფიქრობთ, ქართველთა ახალმოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი რაიონი გახდება. აქ ჩამოსახლებული ქართული ოჯახების დასამკვიდრებლად ბოლნისში მრავალი საყოფაცხოვრებო და სოციალური პრობლემების გადაჭრა ხდება, მით უმეტეს, რომ ჩამოსულთა უმრავლესობა მრავალშვილიანი ოჯახებია. ბოლნისის სპორტსკოლის ხელმძღვანელთა წინაშეც მრავალი მიზანი დაისახა, როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, ახლა მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანია ნიჭიერი, იმედისმომცემი ლეჩხუმელი, სვანი თუ აჭარელი ახალგაზრდების შერჩევა, სპორტსკოლაში მიზიდვა და მათი უნარის გამოყენება. ამ საქმის გადასაწყვეტად ბოლნისის სპორტსკოლის კოლექტივს დიდი და სერიოზული მუშაობის ჩატარება მოუწევს.

ᲜᲐᲗᲝ ᲣᲯᲘᲚᲘᲐᲜᲘ,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

SEATTLE '90 GOODWILL GAMES

კეთილი ნების თამაშები

უკბილო ხუმრობის ფასი



„კინგკაუნტის“ ცენტრი, სადაც მომ დინარეობს მოცურავეთა შეჯიბრება. **საქდეს-საქინფორმის** ფოტო.

(დასასრული)

ზონაში გასვლას ცდილობდა. პოლიციელის შეკითხვაზე — რა ჰქონდა ჩანთაში, დაკავებულმა უდარდელად უპასუხა — დინამიტი.

მედლები

	ო.	ვ.	ბ.
აშშ	17	20	11
სსრკ	15	16	14
გდრ	9	4	11
გფრ	2	8	2
დანია	2	—	—
იტალია	1	2	1
ჰოლანდია	1	1	4
ჰოლანდია	1	1	4
უნგრეთი	1	1	1
ესპანეთი	1	1	1
კანადა	1	—	2
ჩხეფრ	1	—	—
პოლონეთი	1	—	—
სურინამი	1	—	—
კუბა	1	—	—
მექსიკა	1	—	—
იამაიკა	1	—	—
ავსტრალია	—	1	1
რუმინეთი	—	1	1
ეთიოპია	—	1	—
ბრაზილია	—	—	1
ინგლისი	—	—	1

ადვილი წარმოსადგენია, რა მოჰყვებოდა ამ მოულოდნელ განცხადებას. მაყურებლის ჩანთა გაჩხრიკეს და შიგ, დინამიტის ნაცვლად, კინოაპარატი აღმოაჩინეს.

ეს უსიამოვნო ინციდენტი ამით არ დამთავრებულა. გუშინ „ხუმრა“ მაყურებელი სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო. როგორც სიეტლის გაზეთები იუწყებიან, დამნაშავეს საკმაოდ დიდი ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს. აი, რას ნიშნავს უკბილო ხუმრობა.

საბჭოთა მარათონელების სრული ტრიუმფით აღინიშნა ქალთა შეჯიბრება. აქ სამი პირველი ადგილი ალმაათელმა ზოია ივანოვამ, ფრუნზელმა ირინა ბოგაჩოვამ და უფელმა რავილია ბარანგულოვამ დაისაკუთრეს. სამწუხაროდ, შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად აქ არ ჩამოვიდნენ მსოფლიოს უძლიერესი მარათონელი ქალები.

ფრენბურთელთა ტურნირის ნახევარფინალში თამაშის უფლება სხვებზე უფრო ადრე საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებმა გაიხადა. ეს მოხდა ბრაზილიელებთან გამარჯვების შემდეგ (3:1). და მაინც, გუნდის უფროსი მწვრთნელი ნიკოლოზ კარპოლი თამაშის ხარისხით უკმაყოფილოა. მისი აზრით, ვერც სმირნოვამ (იგი ამ მატჩს საუკეთესო თავდამსმენელად აღიარეს) და ვერც სიდორენკომ ვერ უზრუნველჰყვეს კოლექტიური თამაში.

ტანმოვარჯიშე ვაკთა შეჯიბრების მთავარ ფავორიტად, ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე, საბჭოთა სპორტსმენებს ასახელებდნენ. მათ მართლაც კარგად იასპარეზეს და მაყურებელთა სიმპათიებიც დაიმსახურეს. ტაკომაში (ქალაქი ვაშინგტონის შტატში, სადაც ტანმოვარჯიშეთა ტურნირი ტარდება) განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა ნაკრების დებიუტანტი, 18 წლის მინსკელი ვიტალი შჩერბო. სხვათა შორის, მრავალჭიდში ფავორიტთა შორის ლარისა ლატინინამ, მიხეილ ვორონინმა და ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარემ კარლ-ჰაინც ჩოკემ სწორედ შჩერბო დაასახელეს.

მინსკელმა მრავალჭიდის ჯამში 59,200 ქულა დააგროვა და 0,55 ქულით გაუსწრო უფრო გამოცდილ თანაგუნდელს, ბაქოელ ვალერი ბელენკოს. ტანვარჯიშში ეს საკმაოდ დიდი უპირატესობაა. შეჯიბრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე შჩერბომ განაცხადა: „ჯერ კიდევ გუშინ, გუნდური შეჯიბრების დროს, ჩემი თავი გამოუცდელი ბავშვი მეგონა და გამოსვლით, ცხადია, არ ვიყავი კმაყოფილი, დღეს კი ვიგრძენი, რომ მამაკაცი გავხდი და შემიძლია მოვიგო მრავალჭიდი“. ჩემპიონის ამ გულახდილ განცხადებას ჟურნალისტები ტაშით შეხვდნენ.

სიეტლში მოუთმენლად ელოდნენ თანამედროვეობის საუკეთესო ჰოკეის მხტომელების სერგეი ბუბკასა და როდიონ გატაულინის დასწრებულ ორთაბრძოლას, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, არ შედგა. ბუბკას უთანხმოება აქვს საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობასთან და გადაწყვიტა, უარი ეთქვა გამოსვლაზე.

ასეთ პირობებში გამარჯვება, ცხადია, გატაულინს დარჩა (5მ. 92 სმ), რომელსაც მაყურებლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. ვალში არც სპორტსმენი დარჩენილა — მან მაღლიერ სიეტლელებს ლამაზი ნახევარსაათიანი სანახაობა აჩუქა. გატაულინმა მოითხოვა თამასის გადება 608 სანტიმეტრზე და სამჯერ მიიტანა იერიში ბუბკას მსოფლიო რეკორდზე. სასურველი შედეგი ვერც ერთმა ცდამ ვერ გამოიღო, მაგრამ მაყურებელი მაინც კმაყოფილი დარჩა.

ფა. მეკ-ა ვა.

ი. მოროზოვმა „თავს უშველა“

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელობა სულ ახლახან მთლიანად შეიცვალა: ვ. ლობანოვსკი ამჟამად კიევის „დინამოში“ მუშაობს, ნაკრებში კი თავისი ადგილი, როგორც იცით, ა. ბიშოვეცს დაუთმო. ნაკრების ყოფილმა მეორე მწვრთნელმა იური მოროზოვმა იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ერაყის ფეხბურთის ფედერაციასთან გააფორმა ხელშეკრულება და უკვე გაემგზავრა ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების სახელმძღვანელოდ. მისი კონტრაქტი ჯერჯერობით ერთ წელს გულისხმობს.

ერაყშივე მუშაობს კიეველი მიხეილ ფომენკო, რომელიც სულ ახლახან ლანჩხუთის „გურიის“ მწვრთნელი იყო. ამ ქვეყანაში იგი სათავეში უდგას „რაშიდს“, რომლის 8 ფეხბურთელი ნაკრებში გამოდის. გარდა ამისა, ერაყის ოლიმპიურ ნაკრებს უხელმძღვანელებს კიდევ ერთი საბჭოთა მწვრთნელი ბორის ივნატიევი. გამოდის, რომ, სამმა საბჭოთა მწვრთნელმა ერთ უცხოურ ქვეყანაში მოიყარა თავი.

22 სექტემბერს იწყება ტრადიციული აზიური თამაშები, რომლის პროგრამაში ფეხბურთიც შედის. ეტყობა, ამ ტურნირის შედეგებით შეაფასებენ საბჭოთა სპეციალისტებს საქმიანობის პროფესიულ დონეს.

მოდი და გაარკვიე, ვინ მიდის, ვინ მოდის?..

ბოლო ხანებში დიდად გახშირდა საბჭოთა ფეხბურთელების „ემიგრაცია“ უცხოეთის კლუბებში. მიდიან და მიდიან... პრესაში პერიოდულად ჩნდება ცნობები იმის თაობაზე, რომ ესა და ეს ცნობილი მოთამაშე, სსრ კავშირის ნაკრებისა და წმაყვანი კლუბის წევრი, საზღვარგარეთის კლუბში გადავიდა.

ბევრნი, მართლაც, ხალისით ტოვებენ საბჭოთა კავშირს და მიდიან იქ, სადაც ფეხბურთიც უკეთესია და ცხოვრების პირობებიც გაცილებით უმჯობესი, მაგრამ ცენტრალური პრესის მეოხებით ბოლო ხანებში მომრავლდა აშკარად დეზინფორმაციული ცნობები. კითხულობ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას და ვერ გაგიგია, რომელია მართალი — ნამდვილად წავიდა ესა თუ ის კონკრეტული ფეხბურთელი უცხოეთში, თუ შინ დარჩა და კვლავაც მშობლიურ კლუბში გამოდის.

მოგიყვანთ მაგალითებსაც: სულ ახლახან რამდენიმე გაზეთში გამოჩნდა ცნობა, რომ იტალიაში კონტრაქტით მიემგზავრება საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი, კიევის „დინამოს“ ნახევარმცველი, ალექსეი მიხაილიჩენკო, რომლის საფასურადაც იტალიის „სამპდორიამ“ მოზრდილი თანხა გადაიხადა. მოსკოვის „სპარტაკის“ თაყვანისმცემლებს, რომელთა რაოდენობა ურიცხვია, პირდაპირ თავზარი დასცა ცნობამ იმის თაობაზე, რომ გუნდიდან მიდიან ფედორ ჩერენკოვი და სერგეი როდიონოვი. და, მიდიან არა ისეთ პრესტიჟულ კლუბში, როგორიც არის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული „სამპდორია“, არამედ საფრანგეთის მეორეხარისხოვანი კლუბი „რედსტარი“. მოსკოვის „სპარტაკის“ ქომაგთა შეშფოთება გასაგებია, ვინაიდან უჩერენკოვოდ და უროდიონოვოდ „სპარტაკი“ „სპარტაკი“ არაა.

ასეთივე „უტყუარი“ ცნობები გამოქვეყნდა იმის თაობაზე, რომ კიევის დინამოელი ო. პროტასოვი, მოსკოვის სპარტაკელი ვ. შმაროვი, მოსკოვის დინამოელი ი. დობროვოლსკი, მოსკოვის ტორპედოელი ი. სავიჩევი აღარ აპირებენ თავიანთ კლუბებში დარჩენას და გადაუწყვეტიათ საბერძნეთის „ოლიმპიაკოსში“ გადასვლა. ცნობა მით უფრო დასაჯერებელი იყო, რომ მოსკოვში ჩამოვიდა „ოლიმპიაკოსის“ ახალი მწვრთნელი ო. ბლოხინი, რომელიც კარგად იცნობს საბჭოთა ფეხბურთელებს და იცის, ვის დაადოს ხელი...

საბჭოთა ფეხბურთი უკვე მაშინ გაღარიბდა, როცა საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი თქვეს თბილისის „დინამომ“, ვილნიუსის „უალგირისმა“ და ლანჩხუთის „გურიამ“, ახლა კი საუკეთესო ფეხბურთელებიც აღარ აპირებენ აქ თამაშს. მაშ რისთვისღა უნდა იარონ ფეხბურთის მოყვარულებმა მატჩებზე, რომელთა საფასური ახლა მნიშვნელოვნად გაძვირდა?

და, აი, ამ საკითხზე იმსჯელა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა. გამოირკვა, რომ ფეხბურთელთა ეს გადასვლები სინამდვილეს არ შეეფერება. კერძოდ, ფედერაციის ადრინდელი დადგენილების თანახმად, საბჭოთა ფეხბურთელს უცხოეთში წასვლის უფლება აქვს მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი 28 წლის ასაკს მიაღწევს. არც ო. პროტასოვი, არც ა. მიხაილიჩენკო ჯერ ამ ასაკისანი არ არიან. კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ კი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციისა და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის დაუკითხავად, დამოუკიდებლად გადაწყვიტა ამ საკითხის გადაჭრა.

აღმასკომის სხდომაზე ისიც გამოირკვა, რომ ვ. შმაროვს საერთოდ არ მიუცია თანხმობა „ოლიმპიაკოსში“ გადასვლაზე.

მოდი და ამის შემდეგ ენდე ცენტრალური საინფორმაციო ორგანოების ცნობებს, საკავშირო ფედერაციაში კი მუდამ ქაოსი სუფევდა და ახლაც სუფევს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **ბერმანიის** ორი სახელმწიფოს გაერთიანების საკითხი უშუალოდ ფეხბურთსაც ეხება. შეიქმნება ერთიანი საფეხბურთო ლიგა, რომელშიც 1991 ან 1992 წლიდან მონაწილეობას მიიღებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკლუბო გუნდები. ამ ორი ფედერაციის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ დასავლეთ გერმანიის პირველი ლიგის 18 გუნდს დაემატება აღმოსავლეთ გერმანიის ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი, ხოლო მომდევნო, მეორე ლიგაში გამოვა აღმოსავლეთ გერმანიის კიდევ 6 გუნდი.

რაც შეეხება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა კლუბებს, სავარაუდოა, რომ ისინი შეწყვეტენ არსებობას როგორც პროფესიული გუნდები და სამოყვარულო სტატუსზე გადავლენ.

● **ამერიკის** შეერთებული შტატების 30-მა ქალაქმა წამოაყენა თავისი კანდიდატური 1994 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ჯგუფური შეჯიბრების მასპინძლობის თაობაზე. მომავალი წლის დასაწყისში აირჩევენ 12-14 ქალაქს, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება.

● **ინგლისის** ფეხბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბობი რობსონი მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გადადგა თავისი პოსტიდან, ნაკრები კი ჩაიბარა გრეგემ ტეილორმა. ახალი მწვრთნელი ინგლისის ნაკრებს მოამზადებს მსოფლიოს XV ჩემპიონატისთვის.

გ. ტეილორი მანამდე „ასტონ ვილას“ წვრთნიდა, რომელმაც ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა.

ეუსებიო

ეუსებიო და სილვა ფერეირამ უამრავი ადამიანის გული დაიპყრო ბურთის ფლობის შეუდარებელი ხელოვნებით, უსწრაფესი დრიბლინგით და დარტყმის ლეგენდარული სიზუსტით.

პირველად 1961 წლის 23 მაისს გამოვიდა სტადიონ „ლუზზე“. იგი სათადარიგო მოთამაშე იყო და ერთ-ერთი მოთამაშის შემცვლელად გამოსულმა სამი გოლის გატანა შეძლო. ბოლო თამაშში, რომელიც 1973 წლის 21 სექტემბერს გაიმართა (მაშინ იგი კლუბ „პორტუში“ თამაშობდა), ეუსებიომ 711-ე ბურთი გაიტანა.

საფეხბურთო კარიერის მანძილზე ეუსებიომ ცამეტ ეროვნულ ჩემპიონატში (მოიგო ათი), პორტუგალიის თასის გათამაშებებში (მოიგო ხუთჯერ), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებებში მიიღო მონაწილეობა, დაჯილდოებულია „ოქროს“ (ორჯერ) და „ვერცხლის“ ბუცებით, შვიდჯერ იყო ქვეყნის ყველაზე შედეგიანი თავდამსმენელი (ეს რეკორდი დღემდე ვერავინ გაუმჯობესა), პორტუგალიის ნაკრებში ითამაშა სამოცდასამჯერ.

ახლახან გამოცემულ ალბომში აღნუსხულია სახელგანთქმული ფეხბურთელის, „ბენფიკას“ ახლანდელი მეორე მწვრთნელის ცხოვრებისა და კარიერის უმნიშვნელოვანესი მოვლენები. არც ჩავარდნებს აქვს გვერდი ავლილი — წიგნის ავტორის ეუქენიო სილვას აზრით, ეს აუცილებელია „ევროპის გაადამიანურების“ თვალსაზრისით. ასეთებია, მაგალითად, ხშირი მუხლის ოპერაციები, რომლებმაც დაანჭარეს ეუსებიოს ფეხბურთიდან წასვლა, კარს აცილებული ბურთები და ცრემლები, რომლებიც ბევრი დაღვარა მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატზე ინგლისელებთან მატჩის წაგების შემდეგ.

ამ პუბლიკაციის — „ეუსებიო, შავი ჯიქის“ — ავტორს სურდა მოეთხრო „არა იმდენად ცნობილი სპორტსმენის ისტორია, რამდენადაც ისტორია ადამიანისა, რომელიც უცნობი სამყაროდან მოვიდა და საკუთარი ბედის შემოქმედი გახდა“.

ყველა, ვინც კი ახლოს იცნობს ცნობილ „გოლეადორს“, ერთხმად აღნიშნავს, რომ დიდებამ ეუსებიო არ გააყოყოჩა. ამასვე ამბობენ „ბენფიკას“ მოთამაშეები, რიგითი გულშემატკივრები და, მაგალითად, ცნობილი ამერიკელი საყვარზე დამკვრელი დიზი გილესპი. იგი პორტუგალიაში ფილმში გადასაღებად ჩავიდა და უმალ ისურვა ფეხბურთელთან შეხვედრა.

ეუსებიო ამასთან დაკავშირებით წერს: „ყოველთვის მიყვარდა ზანგური ჟუსკა, განსაკუთრებით ჯაზური. დიზის უკვე დიდი ხანია ვიცნობ. 1971 წელს, როცა იგი ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა პორტუგალიაში, ჩემი ვაცნობა მოისურვა, ოჯახში მესტუმრა და დავმეგობრდით. ამ ალბომის ერთ-ერთი პირველი ეგზემპლარი მას ვუსახსოვრე“.

ჭაბუკები ემზადებიან

სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები (ასაკი 16-17 წელი) ემზადება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის, სადაც მისი მეტოქეები იქნებიან იუგოსლავიის, ჩეხეთ-სლოვაკეთისა და შვეიცარიის გუნდები.

საბჭოთა ნაკრებმა ტერნოპოლში ორი ამხანაგური მატჩი გამართა უნგრელ თანატოლთა გუნდთან და ორივე მოიგო — 3:0 და 2:1.

კეთილი ნების თამაშები

„ატლანტიდის“ ცხრილზე

21 ივლისი.

ცურვა. ვაჟები. 800 მ თავისუფალი სტილით. 1. იორგ ჰოფმანი (გდრ) — 7.54,73; 200 მ ბატერფლაი. 1. მელვინ სტიუარტი (აშშ) — 1.57,05; 4X100 მ ესტაფეტა თავისუფალი სტილით. 1. აშშ (ტომ ჯეგერი, იონ ოლსონი, დაგ ჯერსტენი, მეტ ბიონდი) — 3.17,50.

ქალები. 100 მ თავისუფალი სტილით. 1. ნიკოლ ჰაისლეტი (აშშ)— 55,97; 400 მ კომპლექსური. 1. სამერ სენდერსი (აშშ) — 4.39,22; 4X200 მ ესტაფეტა თავისუფალი სტილით. 1. გდრ (კერსტინ კილგასი, მანუელა შტელმახი. დაგმარ ჰაზე, ჰაიკე ფრიდრიხი) — 8.05,21.

სპორტული ტანვარჯიში. ვაჟები. პირადი პირველობა მრავალჭიდში. 1. ვიტალი შერბო (სსრკ) — 59,20 ქულა.

აკადემიური ნიჩბოსნობა. ვაჟები. ერთადგილიანი. 1. ვაცლავ ხალუპა (ჩსფრ) — 6.56,33; ორადგილიანი წყვილები. 1. სსრკ (გირტს ვილკსი, ვალერი დოსენკო — 6.17,59; ოთხადგილიანი გასაშლელი მესაჭით. 1. სსრკ (ვლადიმერ რომანიშინი, იგორ ბორტნიკკი, სიგიტას კუჩინსკასი, იონას ნარმონტასი, პიოტრ პეტრინიჩი) — 6.06,79; ოთხადგილიანი გასაშლელი უმესაჭეოდ. 1. გდრ (უვე კელნერი, თომას იუნგი, ფრანკ პშლოსკი, ანდრეას ჰაკე) — 5.55,75.

ქალები. ერთადგილიანი (მსუბუქი წონა). 1. მეტე ბლოკ იენსენი (დანია) — 7.48,72; ორადგილიანი წყვილები. 1. სსრკ (სორია ზაქიროვა, სვეტლანა მაზიი) — 6.58,81; ორადგილიანი გასაშლელი უმესაჭეოდ (მსუბუქი წონა). 1. დანია (გერდ ანდერსენი, ელიზაბეტ ფრასი) — 7.38,09; რვაადგილიანი. 1. გდრ — 6.02,13.

მძლეოსნობა. ვაჟები. მარათონი. 1. დეივ მორა (აშშ) — 2:14,49.

22 ივლისი.

მძლეოსნობა. ქალები. მარათონი. 1. ზოია ივანოვა (სსრკ) — 2:34.37,57.

ცურვა. ვაჟები. 400 მ კომპლექსური. 1-2. დევიდ უორტონი (აშშ) და პატრიკ კიული (გდრ)— 4.17,74; 200 მ თავისუფალი სტილით. 1. არტურ ვოიდატი (პოლონეთი) — 1.48,19; 100 მ ბატერფლაი. 1. ენტონი ნესტი (სურინამი) — 53,42.

ქალები. 100 მ ზურგზე. 1. ბეტსი მიჩელი (აშშ) — 1.01,46; 400 მ თავისუფალი სტილით. 1. ჟანეტ ევანსი (აშშ) — 4.05,84; 200 მ ბრასით. 1. ელენა ვოლკოვა (სსრკ) — 2.28,64; 4X100 მ ესტაფეტა თავისუფალი სტილით. 1. გდრ (კერსტინ კილგასი, მანუელა შტელმახი, დანიელა ჰუნგერი, კატრინ მაისნერი) — 3.44,28.

აკადემიური ნიჩბოსნობა. ვაჟები. რვაადგილიანი. 1. გდრ — 5.44,16; ერთადგილიანი (მსუბუქი წონა) 1. ფრანს გებელი (ჰოლანდია) — 7.10,87; ორადგილიანი გასაშლელი უმესაჭეოდ (მსუბუქი წონა). 1. იტალია (სანინო ბელომო, ალფრედო სტრიანი)—7.04,57; ოთხადგილიანი წყვილები. 1. სსრკ (გირტს ვილკსი, ნიკოლაი ჩუპრინა, იური იანსონი, ვალერი დოსენკო) — 6.01,16.

ქალები. ერთადგილიანი. 1. ტიტი იორდაჭე (გფრ) — 7.48,08; ოთხადგილიანი გასაშლელი უმესაჭეოდ. 1. გფრ — 6.56,62; ორადგილიანი გასაშლელი უმესაჭეოდ. 1. გფრ (შტეფანია ვერემაიერი, ინგეგორგ ალტოფი) — 7.28,93.

მძლეოსნობა. ვაჟები. სპორტული სიარული 20 კმ 1. ერნესტო კანტო (მექსიკა) — 1:23.13,12; 5000 მ 1. პოლ უილიამსი (კანადა) — 13.33,52; 400 მ თარჯრბენი. 1. უინტროპ გრემი (იამაიკა) — 48,78; ჭოკით ხტომა. 1. როდიონ გატაულინი (სსრკ) — 592; 800 მ 1. ჯორჯ კერში (აშშ) — 1.45,10.

ქალები. 100 მ 1. კარლეტ გაიდრი (აშშ) — 11,04; 400 მ. 1. ანა კიროტი (კუბა) — 50.34; ბადროს ტყორცნა. 1. ილკე ვილუდა (გდრ) — 68,08.

სპორტული ტანვარჯიში. ვაჟები. პირადი პირველობა. თავისუფალი ვარჯიში. 1. ვალერი ლიუკინი (სსრკ) — 9,900; ტაიჭი. 1. ვალენტინ მოგილნი (სსრკ) — 9,975; რგოლები 1. ვალერი ბელენკი (სსრკ) — 9,925; ხტომები. 1. ვიტალი შერბო (სსრკ) —9,925; ორძელი. 1-2. ვალერი ბელენკი (სსრკ) და გო ლინიაო (ჩინეთი) — 9,875; ღერძი. 1-2. ვიტალი შერბო (სსრკ) და ლენს რინგნალდი (აშშ)—9,900.

ხელგურთი. ვაჟები. სსრკ —აშშ 33:16; ჩსფრ — იაპონია 25:25; იუგოსლავია — ისლანდია 18:17, ესპანეთი — ს. კორეა 28:23.

ფრენგურთი. ქალები. სსრკ — ბრაზილია — 3:1, კანადა — აშშ 3:2, პერუ — იაპონია 3:0, ჩინეთი — კუბა 3:0.

ლემონდი ბიზნეს ლემონდია

პარიზი. ამერიკელმა ველოსიპედისტმა გრეგ ლემონდმა გაიმეორა შარშანდელი წარმატება და მოიგო ყველაზე პრესტიჟული მრავალდღიანი ველოსრბოლა — „ტურ დე ფრანსი“. ამ გამარჯვებით მან გააბათილა ყველა იმ სპეციალისტთა პროგნოზი, რომლებიც დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ — ლემონდის მზე ჩაესვენაო.

ჩემპიონმა 3400 კილომეტრის გავლას მოანდომა 90 საათი, 43 წუთი და 20 წამი. მეორე ადგილი დაიკავა იტალიელმა კლაუდიო კიაპუჩიმ, რომელიც რბოლას ერთპიროვნულად ლიდერობდა მეთორმეტე ეტაპიდან, და მან, საბოლოო ჯამში გამარჯვებულთან წააგო 2 წუთი და 16 წამი. მესამე ადგილი წილად ხვდა ჰოლანდიელ ერიკ ბრეკინკს (სხვაობა გამარჯვებულთან — 2 წუთი და 29 წამი).

რაც შეეხება ბოლო ეტაპს, რომლის ფინიში, ტრადიციულად, პარიზში ელისეს მინდვრებზე შედგა, მოიგო ბელგიელმა იოჰან მუზეეუვმა.

„სპორტლოტო“

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 29-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 10 (წყალბურთი), 18 (მძლეოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 29 (სასტენდო სროლა), 32 (ფიგურული ციგურაობა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 4 (კრივი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 9 (საგზატკეცილო ველოსრბოლა), 28 (ტყვიის სროლა), 33 (ფეხბურთი).

„გულმოწყალების“ ტირაჟი: 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 18 (მძლეოსნობა), 21 (ცურვა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 29 (სასტენდო სროლა).

„სპორტპროგნოზი“

ვაჟთა შორის კალათბურთში მსოფლიო ჩემპიონატის თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის „C-8“ პროგრამა (არგენტინა, 8-10 აგვისტო)

8 აგვისტო (ოთხშაბათი)

1. ავსტრალია—ჩინეთი
2. ბრაზილია — იტალია
3. კანადა — ეგვიპტე
4. სსრ კავშირი — არგენტინა

9 აგვისტო (ხუთშაბათი)

5. პუერტო-რიკო — ვენესუელა
6. ავსტრალია — იტალია
7. ესპანეთი — საბერძნეთი
8. კანადა — არგენტინა

10 აგვისტო (პარასკევი)

9. ვენესუელა — ანგოლა
10. იტალია — ჩინეთი
11. აშშ — ესპანეთი
12. საბერძნეთი — სამხრეთ კორეა
13. სსრ კავშირი — კანადა

შენიშვნა: 1. თამაშის შედეგები განისაზღვრება ძირითადი დროის მიხედვით.

2. ტირაჟის ნომრის მაგიერ უნდა ჩაიწეროს „C-8“.

3. შევსებული ბილეთები მიიღება „სპორტპროგნოზის“ 31-ე ტირაჟის ბილეთების მიღების ვადებში.

რედაქტორის მაგიერ
თ. მიგრიაული

აი, თურმე როგორია მონიკა სელეში!

მსოფლიო ჩოგბურთის ამომავალი „ვარსკვლავი“ მონიკა სელეში იუგოსლავიელია მხოლოდ პასპორტით. იგი თავის მშობლებთან ერთად ფლორიდაში ცხოვრობს მუდმივად და იქვე ვარჯიშობს ცნობილი ამერიკელი სპეციალისტის ნიკ ბოლეტიერის მიერ დაარსებულ აკადემიაში. ჩოგბურთის სიყვარული პატარა მონიკას ჩაუნერგა მამამ კაროლ სელეშმა, რომელიც მისი პირველი მწვრთნელიც იყო, ახლა კი შვილის ფინანსურ საქმეებს განაგებს და, ამდენად, მენეჯერად ითვლება

მონიკას დებიუტი პროფესიულ ჩოგბურთში ამ ერთი წლინახევრის წინ შედგა და მაშინვე სენსაციით აღინიშნა. ერთ-ერთ ტურნირში დაამარცხა მესამე ნომრად განთესილი მანუელა მალეევა, გავიდა ნახევარფინალში და ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო ტრავმის გამო. 1989 წელს მან პირველი დიდი წარმატება ჰიუსტონის კორტებზე იზეიმა, როცა „ვირჯინია სლიმზის“ სერიის ტურნირი მოიგო. მერე სხვადასხვა შეჯიბრებაში ხან ნახევარფინალის, ხან კი ფინალის მონაწილე იყო. ერთ სეზონში მსოფლიო რეიტინგის მიხედვით 86-ე ჩოგბურთელმა მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა, რაც თითქმის დაუჯერებელი წარმატება იყო, განსაკუთრებით ქალთა ჩოგბურთში, სადაც სიურპრიზები ნაკლებად ხდება.

1990 წლის დასაწყისში სელეშმა ორჯერ ზედიზედ კატასტროფული მარცხი განიცადა — პირველივე წრეში გამოეთიშა საკმაოდ პოპულარულ ტურნირებს. მამის განმარტებით, მონიკამ სწორედ ამ ორ შეჯიბრებაში მიიღო ყველაზე სასარგებლო გაკვეთილი. ახალგაზრდა ჩოგბურთელი მიხვდა, რომ სპორტში წარმატების მისაღწევად ნიჭი არ არის საკმარისი — და რომ საჭიროა ყოველდღიური, მონური შრომა.

აი, სწორედ დროული ანალიზის შედეგი იყო ის, რომ მონიკამ დასავლეთ ბერლინში მოიგო ავტორიტეტული ტურნირი, ფინალში მსოფლიოს პირველი ნომერი ჩოგბურთელი შტეფი გრაფი დაამარცხა და ჯილდოდ 100 ათასიანი ჩეკი დაიმსახურა. ამდენი ფული 16 წლის გოგონას (არც მის მშობლებს) ერთად არ ენახა. ამ ისტორიული გამარჯვების შემდეგ მონიკას რეპორტიორები დაესივნენ:

— რას უზამთ ამდენ ფულს?

— ჯერ კარგად არც კი ვიცი. შესაძლოა ავტომანქანა შევიძინო.

— მაგრამ თქვენ ამის შემდეგაც ფული ბლომად დაგრჩებათ.

— უნდა მოგახსენოთ, რომ მე ალბათ ერთადერთი პროფესიონალი ჩოგბურთელი ვარ მსოფლიოში, რომელსაც არ ჰყავს ავტომანქანა.

— რომელი მარკის მანქანა მოგწონთ ყველაზე მეტად?

— „ლამბორჯინი“ ან წითელი ბმვ.

— მანქანის ტარების უფლება თუ გაქვთ?

— კარგია რომ შემახსენეთ, ამაზე, მართალი გითხრათ, არც მიფიქრია.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მონიკას შეუძლია გახდეს პირველი ჩოგბურთელი, თუ შტეფი გრაფი მისცემს ამის უფლებას. ყოველ შემთხვევაში, ქერათმიან, სიმპათიური გარეგნობის გოგონას დღეს ალბათ ყველაზე უფრო ძლიერი დარტყმა აქვს. სხვებისგან განსხვავებით, იგი წარმატებით ხმარობს ორივე ხელს და განსაკუთრებით ეფექტურად ამუშავებს „ალმა მიმავალ“ ბურთებს. ამის წყალობით მას მაღალი ტემპის შენარჩუნება მუდმივად შეუძლია.

— მონიკა მოსწონს მაყურებელს ლამაზი თამაშისთვის და... კეკლუცობისთვისაც, მაგრამ რაც მთავარია, მას დიდი სურვილი აქვს გახდეს პირველი ნომერი ჩოგბურთელი. ხასიათის სიმტკიცე და თავდაჯერებულობა, მოგეხსენებათ, წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა თუ, რა თქმა უნდა, ამის საფუძველი არსებობს. მონიკა სელეშის მე მწამს და მჯერა, მიზანს უსათუოდ მიაღწევს. ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ ჩემპიონს ქალთა შორის ბილი-ჯინ კინგს.

ამ ცოტა ხნის წინ მონიკა სელეშის ცხოვრებაში „საგანგებო შემთხვევა“ მოხდა. ჩოგბურთელმა ნიკ ბოლეტიერის აკადემიიდან წასვლა გადაწყვიტა (ამ აკადემიაში აღიზარდა, სხვათა შორის, ანდრე აგასი, აარონ კრიკშტეინი, ჯიმი არიასი და ბევრი სხვა ახალგაზრდა ჩოგბურთელი).

— სელეშზე მე ათასობით საათი და დიდი ფული დავხარჯე, — გულნატკენი ამბობს აკადემიის ხელმძღვანელი — მის აღზრდაში გული და სული ჩავდე, ასე რომ, ჩემთვის მოულოდნელი იყო მონიკას გადაწყვეტილება.

— მე პირველი არა ვარ, ვინც სტოვებს აკადემიის კედლებს. მწვრთნელის მიმართ, ცხადია, არა მაქვს პრეტენზია, გამიგეთ სწორად: ოჯახს უჭირს ფინანსურად, ჩემი აკადემიაში ყოფნა კი დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამერიდან ჩემი ოფიციალური მწვრთნელი იქნება კაროლ სელეში. მამასთან თავს უფრო თავისუფლად ვგრძნობ.

კარგია თუ ყველაფერი კეთილად დასრულდება. მაგრამ არსებობს ცუდი მაგალითიც: მას შემდეგ რაც ბორის ბეკერმა გაწყვიტა კავშირი თავის პირველ მწვრთნელთან, ვერ იქნა და მტკიცედ ვერ მოიდგა ფეხი. საწყენი იქნება, თუ მონიკა სელეშსაც ასეთი რამ მოუვა.



ესიტყვოდ... **ეურნალი „სტადიონი“**

ეძებენ ჯაბარის შემცვლელს

დიდი კალათბურთიდან ქერიმ აბდულ ჯაბარის წასვლის შემდეგ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსს“ ცენტრალური თავდამსხმელის პრობლემა გაუჩნდა. მარტო იუგოსლავიელი ელადი დივაჩი, რასაკვირველია, ვერ წყვეტს ამ საკითხს. მით უმეტეს, რომ მას აშკარად აკლია ამ დონეზე თამაშის გამოცდილება. ამიტომ, ადვილი გასაგებია, რატომ ეძებს „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ ჯაბარის შემცვლელს. უცხოურ პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ „ლეიკერსი“ მოლაპარაკებას აპირებს „ჰიუსტონ როკეტნის“ ცენტრ ნიგერიელ აკიმ ოლაიჯუონთან, რომლის მაგიერ ჰიუსტონს დაუთმობს ბაირონ სკოტს და ალექსანდრე რინს, ამასთან, დამატებით გადაიხდის 5 მილიონ დოლარს. ვნახოთ, რა შედეგებს გამოიღებს მოლაპარაკება.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ბ. ქორქია. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380098, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
ბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 УЕ 00356